ოქმი №33

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს

სხდომისა

აბაშა, 2021 წლის 24 ნოემბერი

ოქმი №33

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომისა

აბაშა, 2021 წლის 24 ნოემბერი

ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა მ. კვიტაშვილი.
სხდომას ესწრებოდნენ:
ბიუროს წევრები: გ.ხოშტარია გ. კუპრავა, გ. მიგინეიშვილი, კ. კუჭუხიძე, ტ. ხოშტარია, გ. კუცია, გ.კაჭარავა.
საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – საკრებულოს აპარატის უფროსი გოჩა ხურცილავა და საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - იურიდიულ საკითხთა განყოფილების უფროსი ნ. კუპრეიშვილი.

დღის წესრიგი:

1. ,,აბაშის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" დადგენილების პროექტის შენიშვნებით აბაშის მუნიციპალიტეტის მერისათვის დაბრუნების თაობაზე

მომხს. გ. კუპრავა

2. აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ზურაბ შუბლაძის გარდაცვალების გამო უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ ცნობად მიღების თაობაზე.

მომხს. ტ. ხოშტარია

3.აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის შესახებ.

მომხს. მ. კვიტაშვილი

მოისმინეს:
1. ,,აბაშის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" დადგენილების პროექტის შენიშვნებით აბაშის მუნიციპალიტეტის მერისათვის დაბრუნების თაობაზე

მომხს. გ. კუპრავა

მომხსენებელმა გ. კუპრავამ ბიუროს წევრებს გააცნო ,,აბაშის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" დადგენილების პროექტი და პროექტის ირგვლივ არსებული შენიშვნები.

აზრი გამოთქვეს: მ.კვიტაშვილმა, გ. ხოშტარიამ.
აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ მიიღო რეკომენდაცია:
საკითხი – ,,აბაშის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" დადგენილების პროექტის შენიშვნებით აბაშის მუნიციპალიტეტის მერისათვის დაბრუნების თაობაზე გატანილ იქნეს საკრებულოს მორიგ სხდომაზე და მომხსენებლად დაინიშნოს აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე გ. კუპრავა.
რეკომენდაცია მიღებულ იქნა ერთხმად.

მოისმინეს: 2

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ზურაბ შუბლაძის გარდაცვალების გამო უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ ცნობად მიღების თაობაზე.

მომხს. ტ. ხოშტარია

მომხსენებელმა ტ.ხოშტარიამ სხდომის მონაწილეებს აცნობა რომ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი ითვალისწინებს საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას გარდაცვალების გამო. საკრებულოს წევრი ზურაბ შუბლაძე გარდაიცვალა 2021 წლის 21 ნოემბერს. მას უფლებამოსილება შეუწყდა გარდაცვალების მომდევნო დღიდან 2021 წლის 22 ნოემბრიდან,რაც საკრებულოს მიერ მიღებული უნდა იქნეს ცნობად.
საკითხი-აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ზურაბ შუბლაძის გარდაცვალების გამო უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ცნობად მიღების თაობაზე გატანილ იქნეს საკრებულოს მორიგ სხდომაზე და მომხსენებლად დაინიშნოს აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ტ. ხოშტარია.
რეკომენდაცია მიღებულ იქნა ერთხმად.

3.

.აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის შესახებ.

მომხს. გ. ხოშტარია

მომხსენებელმა მ.კვიტაშვილმა წამოაყენა წინადადება აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა მოწვეულ იქნეს 2021 წლის 25 ნოემბერს დილის 10 საათზე, დღის წესრიგით:

1. ,,აბაშის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" დადგენილების პროექტის შენიშვნებით აბაშის მუნიციპალიტეტის მერისათვის დაბრუნების თაობაზე

მომხს. გ. კუპრავა

2. აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ზურაბ შუბლაძის გარდაცვალების გამო უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ცნობად მიღების თაობაზე.

მომხს. ტ. ხოშტარია

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს

სხდომის თავმჯდომარე: მ. კვიტაშვილი